№ 212 ოქტომბერი 5, სამშაბათი — 1893 — ოქტომბერი 5, სამშაბათი № 212

# ივერია

| | | | |
|---|---|---|---|
| **გაზეთი ღირს** | | | |
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

მიიღება ხელის მოწერა

მომავალ 1894 წლის ქართულ ჟურნალ

## „მოამბე“-ზე.

| | წლიწადში | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარეთ. . . . . . . . . | 13 „ | 7 მ. 50 კ. | 5 „ |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მ., 1 მაისამდე 3 მ. და 1 სექტემბრამდე 3 მ.

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ კანტორაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, №13.

ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, въ Редакцію „Моамбе“.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ბ. კ. ყიფიანის მონაწილეობით, ქ. ბ. მ. მესხიშვილის დებიუტისათვის წარმოდგენილი იქნება

I

**დამარცხებულნი**

დრამა 4 მოქმ. პ. უმიკაშვილისა

II

გ. ბ. მაქსიმაძის დებიუტისათვის

**დატრიალდა ჯარა**

ვოდ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, მაქსიმიძისა, მესხიშვილისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 7½ საათზე

## ტფილისი, 5 ოქტომბერს

—

საფრანგეთისა და რუსეთის ყურადღება მიქცეულია ამ ჟამად ადმირალ აველანის ესკადრაზე, რომელიც უკვე მივიდა ტულონის ნავთსადგურში. ფრანგები, რასაკვირველია, არა ღონეს არ დაიშურებენ მშვენიერად დაუხვდნენ რუსეთის მეზღვაურთა და ისეთი დღესასწაულები გამართონ, რომ სამუდამოდ სახსოვარი იქნეს, არა თუ სასურველის სტუმრებისათვის, არამედ ორთავ მეგობარ ქვეყნებთათვის—საფრანგეთისა და რუსეთისათვის.

გაზეთები სავსეა დაწვრილებითი ამბით, თუ სად და როგორ დაუხვდებიან ადმირალ ავალანს, რომელიც გუშინ სრულიად უცნობი იყო, გარდა საგანგებო წრისა, და დღეს მსოფლიო კაცად შეიქნა. ბედმა ძალიან გაუღიმა ადმირალს და თუ ამ ვიზიტების გაცვლა-გამოცვლას კეთილი ბოლო მოჰყვა, მაშინ ხმელთა-შუა ზღვის რუსეთის ესკადრის უფროსი კიდევ მეტს სახელს და ჯილდოს დაიმსახურებს.

ალექსი სუვორინი, რომელიც დელეგატად არის გაგზავნილი საფრანგეთში რუსეთის მწერლებისაგან, ამბობს, რომ შარშანწინდელ ადმირალ ჟერვეს დახვედრას კრონშტადტში ყოვლად მოუმზადებელი, გულ-წრფელი ხასიათი ჰქონდა, ხოლო ფრანგების მზადებაში და მიღებაში რუსეთის ესკადრისა, უთუოდ, განზრახული პოლიტიკური ანგარიში არისო. ამიტომ ამათ მასპინძლობას კერძო, ადგილობრივი ხასიათი-კი არ ეტყობა, არამედ იგი დიდებული და გასაოცარი მზადებაა დიდებულის ერისა, რომელსაც უნდა გააკვირვოს ქვეყანაო.

რუსის ჟურნალისტი დიად ნამდვილად მიმხვდარა ფრანგების განზრახვას; ისინი სცდილობენ, უზომო პატივისცემითა და სიყვარულით მოხიბლონ რუსეთი და ამ სახით საომარი კავშირი შეაკვრევინონ.

რა თქმა უნდა, რამდენიმე ასიათასი ფრანგის დახარჯვად-კი ღირს რუსეთის მტკიცე მეგობრობა და სავალდებულო ხელ-შეკრულობა. თუმცა რუსეთის დიპლომატიას არაოდეს არა აქვს წესად სულწასულად იმოქმედოს და დაუფიქრებლად რაიმე ხაფანგში გაებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ფრანგებისთვის საოცნებო კავშირი რუსეთთან მაინც გაისკვნება. რასაკვირველია, ყოველი განცხადებული ნათელ არს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუს-ფრანგთა კავშირის შეკვრას მოჰყვება ისა, რომ ინგლისი, ოსმალო და ნორვეგია მიემხრობა სამთა კავშირს.

ამ გვარად მთელი ევროპა გაიყოფა ორ ბანაკად და საკმაო იქნება მაშინ ერთი პატარა ნაპერწკალი, რომ დღეს მშვიდობით მცხოვრებნი ერნი ერთი-მეორეს წაესივნენ და სისხლით შეღებონ ესოდენ განათლებული და ბედნიერი ქვეყნები.

როგორც შექა-ქუხილს მოჰყვება ხოლმე მშვენიერი ჰაერი და განსხვავებული ბრწყინვალე მზე, ისე დიდ ომსაც მოჰყვება ზოგიერთ ერთათვის სინათლე და თავისუფლება. მაგრამ რამდენი ოჯახი, რამდენი ქვეყანა დაიღუპება ამ საერთოდ მოდებულს ცეცხლში, თუ საევროპიო ომი ასტყდა, ამას ვინ მიხვდება და ვინ აღრიცხავს!

ყოველს შემთხვევაში, რაც უნდა ბოლო არ ექნეს ერთა ეხლანდელს პოლიტიკურ დამოკიდებულებას, ერთია უეჭველი, რომ ომი კარზე გვადგია, რადგანაც ამდენს სამხედრო ხარჯს ვერც ერთი სახელმწიფო ვეღარ უძლებს და ყოველგან დიდი დრტვინვა ისმის ამ საგანზედ.

ამას გარდა გამოცდილებით ცნობილია, რომ ევროპაში ყოველს 20—25 წლის განმავლობაში უთუოდ ომი მოხდება ხოლმე.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებლის შერემეტევის მეუღლე დღეს ტფილისში დაბრუნდა.

*** სახელმწიფო საბჭოს წევრი ბ-ნი აბაზა გუშინ ტფილისს ჩამოვიდა.

*** ხვალ ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ წარმოდგენილი იქნება ოთხ-მოქმედებიანი დრამა პ. უმიკაშვილისა „დამარცხებულნი“ და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი კ. ყიფიანისა „დატრიალდა ჯარა“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ბ-ნი კ. ყიფიანი და სხვათა შორის პირველად გამოვლენ სცენაზედ სადებიუტოდ ქ-ნნი მ. მესხიშვილისა, და მაქსიმიძისა. ეს წარმოდგენა მესამე იქმნება ამ სეზონში. პირველ ორ წარმოდგენას ხალხი ძლიერ ნაკლებად დაესწრო. იმედია, ამ წარმოდგენას მაინც დაესწრობა საზოგადოება და მით ხელს მოუმართავს დრამატიულ საზოგადოების დასს, რომელმაც პირველ ორის წარმოდგენით ძლიერ ბევრი იზარალა; და მით უმეტესად კიდევ, რომ ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა საუკეთესო არტისტები.

*** კვირას, 3 ოქტომბერს, მოხდა კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. დაესწრო 17 წევრიდა არა წევრნიც. კრებამ დაამტკიცა გასულის წლის ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა წლევანდელ სეზონისათვის.

*** მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას მოუვიდა ბ-ნ ფილიმონ ქორიძისაგან, ბ-ნ ანტონ დუმბაძისა და იმის შვილის მ. დავით დუმბაძის დახმარებით ნოტებზე გადაღებული საგალობლები. საგალობლები გადაღებულია „პარაკლიტონის“ პირველის ხმიდგან. აი ეს საგალობლები: 1) სამწუხრონი ლოცვანი. 2) მოადევით ერნო სიონსა, 3) ყოვლისა სოფლისა დიდებასა, 4) დასდევ საცო პირსა ჩემსა, 5) ღმერთი უფალი, 6) უფალო ღაღად ვყავ, 7) დიდება და აწდა და სხ. სულ ათი ნაჭერი.

## დამაკვირდი

ცილის წამება—ხმალია შურისა

სეგური

**

არა არის რა ბოროტს კაცზე უსუღლესი, და სულელზე უბოროტესი.

ბონეგალი

## ფელეტონი

—

### ზ ე გ ა ნ ი

(შემდეგი *)

ვაჭრობა ზეგანში არც ძველად სცოდნიათ და არც ეხლა. ვაჭრობა ართვინისა და არდანუჯის კათოლიკეთა ხელშია. აქაური ხალხი ჰყიდის სიმინდს, პურს, ერბოს და ხილს. ახლა კაკლის ხეების გაყიდვაც დაიწყეს. ძველ ნაეკკლესიარს ადგილს მეტად ბევრი კაკლის ხეებია. ამ კაკლის ხეებს ქართველი მაჰმადიანები სრულიად იცილებენ თავიდგან. თითო დიდს მაღალ ხეს 50—60 მან. ჰყიდიან. ამ 25 წლის განმავლობაში დიდი ძალი ხე მოუჭრიათ და ამ 20 წლის განმავლობაში სულაც მოსპობენ. მერე კაკალი თვით ამათ გაუხდებათ სასყიდელი. ზოგიერთ ადგილებში კაკლის საჭიროება შეუგნიათ და ამიტომ აქა-იქ აჩენენ კაკლის ხეებს.

აქაური ხალხის ტანთსაცმელიც ისეთივეა, როგორც სხვა მაჰმადიანებისა, მხოლოდ აქ უფრო უბრალო შალისას აკეთებენ. აქ კაცი ხშირად შეხვდება თუშ-ფშავ-ხევსურულის მინაგვარ ყაითნით მოვლებულს მოკლე ჩოხებს და შარვლებს. ქალამნების ტარებაც სცოდნიათ; ზოგიერთ მოლებსაც-კი ქალამანი აცვიათ.

ესენი ყაჩაღობას ისე არ მისდევენ, როგორც მაჭახლელნი კინტრიშელნი, ზედა-აჭარელნი და სხვანი. ესენი უფრო წყნარი უეშმაკო ხალხია და უფრო დინჯ ცხოვრებას მისდევენ.

ქრისტიანობის შესახებ ამათ ბევრი სხვა-და-სხვანაირი ცნობანი დარჩენიათ, აქა-იქ ხანდისხან ლაპარაკობენ, ოსმალთ როგორ გაუთათრებიათ ამათი მამანი. ქალებს აქა-იქ ახსოვთ ქართული ლოცვები და ბევრს ალაგას ქართული ქრისტიანული შელოცვებიც იციან; ზოგს სოფლებში, აღდგომისთვის წითელ კვერცხსაც ჰღებვენ. ეკკლესიის ნანგრევები, ნასოფლარები და ნასაყდრალები მრავალია. ნასოფლარ ადგილებთან და ნამეტურ ეკკლესიების ნანგრევებთან მრავალი ქვევრია. ღვინის დასაწურ დიდრონ ქვებსაც ხშირად ჰნახავთ.

ამათში ქართული ანბანი სრულიად დავიწყებულია და ნაცვლად არც თათრული გავრცელებულა. მთელს ამ მხარეში, ხოჯებს და მოლებს გარდა, 20 კაცს ვერ ჰნახავთ რომ თათრული კითხვა ან წერა იცოდნენ. ქართული კითხვის მცოდნე ხომ იშვიათად შეგხვდებათ. ბევრგან ისმის ნატვრა ქართულ წერა-კითხვის შესწავლისა.

მშვენიერს ხენაძირის და სხალტის ხეობაში სოფ. ბასმაროს წინ ღღევანდლამდის სდგას ობლად ერთი დიდი ტაძარი, რომელიც მთლად თლილის ქვით არის ნაშენი. ამ ეკკლესიას ეწოდება სხალტის ეკკლესია. ეს ეკლესია შემოკლებით აღწერა განსვენებულმა დ. ბაქრაძემ თავის არხეოლოგიურს მოგზაურობაში. 1874 წ. აღწერა კიდევ გ. ყაზბეგმა. 1889 წ. უვაროვის მეუღლე მოვიდა აქ და ამ ტაძრის სურათები გადაალებინა, როგორც გარეგან შენობის, ისე შინაგან ხელოვნურის მხატვრობისა, რომელიც ძლიერ წამხდარა.

სხალტის ეკკლესიას გარედამ სიგძე ექმნება 10 და სიგანე 6 საჟენი. აშენებულია უგუმბათოდ, იმ გეგმით, როგორც პარხალის ეკკლესია არის (პარხალი ოსმალშია დარჩენილი) და დღეს ამ ეკკლესიის ნახევარი ქართველ მაჰმადიანებს მეჩითად აქვთ გადაკეთებული. სხალტის ეკკლესია ცოტად ჩამოგავს ტფილისის ანჩისხატის ეკკლესიას. კედლებზე სანათურებთან აქა-იქ ლამაზი ჩუქურთმებია გამოყვანილი. უმეტესი ნაწილი ჩუქურთმისა დაქცეულია. ეკკლესია მთლადა სდგას, მხოლოდ გარედგან აქა-იქ თლილი ქვები ჩამოსცვივნია და ეს თლილი ქვებიც იქვე ჩამონაქცევ კედლების წინ ჰყრია.

ქვებში შესაძლებელია რომ ჩუქურთმები და ზედწარწერაც აღმოჩნდეს, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ეკკლესიის გარედამ არსად წარწერა არა სჩანს და ძნელია კაცმა იფიქროს, რომ ჩვენში ძველად ასეთი ეკკლესია გაეკეთებინოთ და მასზედ არავითარი ცნობა არ დაეწეროთ. აქაური მოხუცებულებიც ამბობენ და თვით ერთ აქაურ ბეგთაგან შარვაშიძემაც დამარწმუნა, რომ ამ ორმოცის წლის წინად ერთ ქვაზე ქართული ნაწერიც იყოვო, ხოლო რა იქმნა ის ქვა, ეს ჩვენ აღარ ვიცითო.

ეკკლესიას სამი შესავალი კარი ჰქონია და სამივე კარების წინ მიდგმულები აქვს მცხეთის ტაძრის მსგავსად პატარ-პატარა შესავალი. ყოველ შესავალს თავის შესაფერი გუმბათი ადგია ზევიდგან. უმეტეს ნაწილ დაქცეულ ეკკლესიას შიგ სვეტები არა აქვს, კანკელის ადგილასაც აღარაფერი ეტყობა, მთლად დაქცეულია. ის-კი ეტყობა, რომ კანკელის ნაპირას, ორსავ მხარეს კედლებში პატარა საჯდომი ოთახები ჰქონია გაკეთებული, სადაც ორი კაცი ჩამოჯდება. იქნება ლოცვის

*) იხ. „ივერია“, № 211.

**

სასაცილოდ აგდება შეკვიანისა ბუნებური თვისებაა სულელისა.

ლამარტინი

## ხალხური ლექსი

(მეთვალყურეს-მიერ ჩაწერილი)

ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფელ შვენება თავისა.
უნდა მას რხმალი უჭრიდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.

—

ვაჟკაცსა ქალაჩუნასა
ქალი სჯობია თმიანი,
მტერსა ვერ უზამს მტრობასა,
ძმას ძმობას ვაგლახიანი,
გონჯათ იქნება ყველასთან,
თავ-ცხვირ-პირ ტალახიანი.

## შემოწირულობა

—

გურიის სახალხო წიგნთ-საცავისათვის (სოფ. აკეთში) ნივთიერი დახმარება აღმოუჩენიათ და აღუთქვამთ ყოველ წლიური შემწეობა:

თ-მა ჯამბაკურ გურიელმა—10 მ., აღუთქვა—10 მან.; თ-მა კარდენ გურიელმა—10 მან., აღუთქვა—10 მან.; კნეინა ელეონორა გურიელისამ—5 მან., აღუთქვა—5 მან.; კნიაჟნა თეოდოსი თაკდგირიძემ—5 მან., აღუთქვა—5 მან.; თ-მა სვიმონ გუგუნავამ—5 მან., აღუთქვა—3 მან.; არხიმანდრიტმა გერასიმემ აღუთქვა—5 მან., თ-მა ტიკო ნაკაშიძემ—5 მან.; აზ. ნიკო მამულაიშვილმა—2 მან.; თ-მა კარლამ ერისთავმა—5 მან., აღუთქვა—5 მან.; აზ. ყარსუმ ბერიძემ—3 მან., აღუთქვა—1 მან.; აზ. კლადიკო ბეჟანის ძე ბერიძემ—2 მან., აღუთქვა—2 მან.; თ-მა გრიგოლ გუგუნავამ—2 მან.; ისიდორე ქიქოძემ—2 მან., აღუთქვა—2 მან.; თ-მა კასტანგ გურიელმა აღუთქვა—10 მან.; აზ. უაფლან გოგიბერიძემ—2 მან., აღუთქვა—1 მან.; ანტონ ივანეს ძე ძნელაძემ—2 მან., აღუთქვა—5 მან.; ილარიონ უშვერიძემ—2 მან., აღუთქვა—2 მან.; აზ. დათა გოგიბერიძემ—1 მან., აღუთქვა—1 მან.; თ-მა ჯაბა ერისთავმა—7 მან., აღუთქვა—2 მან., აზ. ნიკო ჯაყელმა—3 მან., აღუთქვა—3 მან.; აზ. ლევან ჟორდანიამ—1 მან.; იპოლიტე მახარაძემ—2 მან., აღუთქვა—3 მან.; აზ. ნიკო მგელაძემ აღუთქვა—1 მან. და 50 კ.; ბაისო მჟავანაძისამ—1 მან., დიმიტრი ჯაყელმა აღუთქვა—1 მან.; ვასილ მახარაძემ აღუთქვა—3 მან., თ-მა ნიკო თაკდგირიძემ აღუთქვა—5 მან.; კატო პეტრიაშვილისამ აღუთქვა—5 მან.; კნიაჟნა ვისი თაკდგირიძემ აღუთქვა—5 მან.; აზ. კარლამ მგელაძემ—3 მან., აღუთქვა—2 მან.; თ-მა დიმიტრი ერისთავმა—5 მან., აღუთქვა—5 მან.- ვანო გოძელაურმა აღუთქვა—3 მან., კოტე უტურგაურმა აღუთქვა—3 მან., თ-მა დიმიტრი თაკდგირიძემ აღუთქვა—5 მან.; კალერიან მებუკემ—მასწავლებელმა აკეთისამ აღუთქვა—5 მან.; კნეინა ნინო თაკდგრიძისა ღორთქიფანიძემ ბიბლიოთეკისათვის საჭირო ნივთები ღირებული—25 მან.

## კორესპონდენცია

—

**სვანეთი**. „ივერია“ დიდს მწუხარებას აცხადებდა სვანეთში ხალხის დამშევის შესახებ და ჰსურდა ყოველივე საქმის გარემოება დაწვრილებით გაეგო. ბ-ნ ქაიხოსრო გელოვანმა ცოტად თუ ბევრად განმარტა შიმშილობის ვითარება სვანეთში. შეიძლება, როგორც ბ-ნი „მეველე“ ბრძანებს, ზოგიერთს კორესპონდენტს გაზვიადება უყვარსო; იქნება ასეც იყოს, მაგრამ მე ვიტყვი მხოლოდ ნახულს...

შიმშილობა არის და იყო სვანეთის შემდეგს საზოგადოებაში: უშკულისა, კალისა, იფარისა, წვირმიშისა, მულახისა, მესტიისა, ლენჯერისა, ლატალისა, ძიროისაში და სხვაგან. იქამდისინ მივიდა საქმე, რომ ზოგიერთნი ბალახისაგან აკეთებდნენ ერთ გვარ საჭმელს (ფაფას) და იმას სჭამდნენ. შემდეგში, როდესაც გზა გახსნეს მთაგრეხილზედ (ლატფარზედ), ყოველი დამშეული სვანი გაექანა ლეჩხუმისაკენ, სადაც დიდის წვალებით შოულობდა სიმინდს და მოჰქონდა შინ სახლობის გამოსაკვებად. ამ გვარად სვანებმა დროებით სული გამოიბრუნეს, მაგრამ ვისაც არც ცხენი ჰყავს და არც ფული მოეძებნება, რომ ორიოდე კაკალი სიმინდი მოეზიდნა ლეჩხუმიდგან ოჯახობის გამოსაკვებად, დარჩა უსახსროდ და უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, არ დარჩა უყურადღებოდ. მაზრის უფროსმა ბ ნ ალშიბაიმ აცნობა ეს სამწუხარო გარემოება გუბერნატორს; თვითონ-კი თავის ხელით შეუდგა შეწირულობის მოკრებას ლეჩხუმში და შეჰკრიბა ორ ათასამდე ფუთი სიმინდი, როგორც ამბობს ბ-ნი გელოვანიც. შემდეგ შეწირულობის შეკრებისა მაზრის უმფროსმა მოსთხოვა ადგილობრივს ბოქაულს ი. ლოლობერიძეს, გაეგზავნა მასთან ლეჩხუმში სუყველაზედ უფრო დამშეულები და, რომ იქ მიეღოთ შეკრებილი სიმინდი. ბოქაულმა გაგზავნა სვანები დანიშნულს ადგილას, მაგრამ რამ ‚ეხისამე დღის შემდეგი სინი დაბრუნდნენ შინ ხელცარიელები, მეორე წასვლაზე-კი სვანებმა მიიღეს სიმინდი თვითო მოსახლეზე ორ-ფუთ-ნახევარი. უმაღლესმა მთავრობამ ასესხა სვანებს უსარგებლოდ რამდენიმე ხნით 4000-სამდე მანეთი ფული. ვინ მოიფიქრებდა, რომ სვანები ამ ფულის სესხებაზე უარს განაცხადებდნენ, მაგრამ გამოდგა სულ სხვა. ყველა საზოგადოებამ ხელწერილით უარი განაცხადა ამ ფულის სესხებაზე. რით უნდა აიხსნეს ეს გარემოება? ნუ-თუ სვანები არ საჭიროებენ და იმიტომ განაცხადეს უარი? შეიძლება სვანები არ დამშეულან და ტყუილად ლაპარაკობენ?—დიდათაც საჭიროებენ სვანები არამც-თუ ეხლა, არამედ სხვა დროსაც; მაგრამ სვანებმა უარი განაცხადეს ფულის სესხებაზე არა თავის ნებით, არამედ სხვის ჩაგონებით... ასეთის წვალებით გაატარეს სვანებმა მთელი ზამთარი და ზაფხული, სანამდისინ წლევანდელმა მოსავალმა არ იჩინა თავი. მაგრამ ვაი იმ მოსავალს, როგორიც წელს არის სვანეთში. ჯერ იყო და გვიან დადნა თოვლი, ხვნათესვა დაგვიანდა; მერე იყო და მთელი ორი თვე ისე გავიდა, რომ ერთი წვეთი წვიმაც არ მოსულა. ამისგამო გვალვამ ნამუშავარი ერთიანად გაახმო, არ გაზარდა და ნაყოფიც ნაკლები მისცა. შარშანდელ მოუსავლობას წლევანდელი დაემატა და ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ჩავარდება ეხლა სვანეთი, თუ შემწეობა არსაიდგან არ აღმოუჩნდა. იმედია, ჩვენი თანამოძმენი მაინც არ დაგვივიწყებენ და შემწეობას აღმოგვიჩენენ საიდგანმე. ისიც ძალიან შემწეობად ჩაითვლება, სხვათა შორის, რომ სვანებს სადმე სამუშაო უშოვნონ, მაგალ. რკინის გზებზედ მიწის თხრა, რომელშიაც სვანს ტოლი არა ჰყავს, და სხვაგან.

ამასთან კიდევ ერთი უბედურება დაგვემატა: 10—12 აგვისტოს ს. ქალდეში (სვანეთშია) გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელსაც იქ „სალაიმალექს“ ეძახიან და ორ დღეში 18-მდე ხარ-ძროხა დახოცა. ეს ჭირი საქონელს გამოჰყოლია რაჭიდგან და სულ მუსრს ავლებს.

ამ ჟამად ზემო სვანეთში სულ 3 სკოლაა: ორი „ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების“ სახელობაზედ იფარში და მესტიაში; მესამე-კი სახელმწიფო—მუჟალში. სამივეში სწავლის საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის, მხოლოდ სამწუხაროდ ის დაგვშთენია, რომ უკანასკნელში ქართულს ენას არ ასწავლიან და ამიტომ რუსულ ენის სწავლება სვანურის ამარას უძნელდებათ.

ეს რამდენიმე წელიწადია, რომ სვანეთს შემოეჩვია ოთხიოდე ვაჭარი. მოაქვთ დამპალი საქონელი და ისე ასაღებენ ხალხში, რომ გასაოცარია. ერთხელ ერთს ვაჭარს ეშოვნა საიდგანღაც ორად დახეული ცხვირ-სახოცები და უბრალო ბეჭდები, რომლებსაც ოქროსად ასაღებდა. გარდა ამისა, მათში ისეთებიც ურევიან, რომელნიც ცუდ საქმეს სჩადიან. ურიგო არ იქნება, ამისთანა საქმეებს ყურადღება მიექციოს და ბოლო მოეღოს...

ცრუ მორწმუნება სვანეთში და ლეჩხუმში ისევ ძლიერ არის გავრცელებული. ღ. ლაილაშში (ლეჩხუმშია) ორ ურიის ქალს და ერთს კიდევ სომეხს გაუკეთებიათ რეზიდენცია და მარჩიელობენ. თუ ვინმე ავად გახდა, მაშინვე მარჩიელთან მირბიან. თუ ვისმე წასვლა უნდა შორს, ის მაშინვე მკითხავს ეკითხება, ვარგია თუ არა ამა და ამ დღეს მოგზაურობაო. თუ ვისმე საქმე აქვს სასამართლოში, იმ შემთხვევაშიაც ეკითხება, მოვიგებ ამ საქმეს, თუ არაო. რასაკვირველია, მარჩიელი ამ შემთხვევაში ძალიან ეშმაკურად იქცევა და ატყუებს საწყალს ხალხს. ასე გასინჯეთ, სვანეთიდგანაც კი მიდიან ლაილაშში მარჩიელთან ოთხ-ხუთის დღის მანძილზედ. მეტადრე მაშინ, როცა ავად გაუხდებათ ვინმე. საჭიროა სვანეთს საკუთარი ექიმი ჰყავდეს, რომ ხალხს გაჭირვებაში დაეხმაროს.

ივ. მუჟალელი

—

**ს. იანეთი** (იმერეთი). ცუდს ალაგას არა სძევს იანეთი: ქუთაისის ახლო მეზობელია და სამტრედია და ხონი ხომ გვერდს აკრავს. ვაკე ალაგას არის გაშლილი და თუ მცხოვრებელთა სახლები ერთიერთმანეთზედ მოშორებით სდგანან, ეს იმის მიზეზია, რომ იანეთელ გლეხის ადგილ-მამული მდიდარია, სახლთან დიდი ნაფუზვრები აქვს და ტყეც ახლოა. თითქმის ყოველ მცხოვრებს გასასყიდლადაც-კი მიაქვს შეშა და თვითონ ხომ ჰყოფნის და ჰყოფნის.

მაინც ბევრი რამ სჭირია იანეთს და თუ კაცი გულით მოეკიდება საქმეს, ბევრი რამ გაკეთდება. უხვმოსავლიანი ადგილები იანეთისა ხშირად გოლვისა გამო უსარგებლონი არიან. ეს მიზეზი-კი ადვილად თავიდამ ასაშორებელია. ამას წინად ბ-ნ ნ. ნიკოლაძის თაოსნობით გამოიყვანეს ცხენის-წყლიდგან არხი სოფლების ადგილების სარწყავად. ერთი პატარა ტოტი ამ წყლისა იანეთსაც ჩამოუდის. რაკი წყალის ტოტი უკვე გამოყვანილია, საძნელო საქმე არ იქნება, მოემატოს წყალი, რომ სოფლის მამულებს ეყოს. ეს საქმე ისე ძვირად არ დაჯდება, რომ სოფლისათვის საგრძნობელი იყოს.

თუ ეცადნენ იანეთლები, შეიძლება მათ რკინის გზის სადგურიც გაუკეთდეს, პლატფორმის მაგიერ. დღეს ამ პლატფორმაზედ ორმოც-სამოცი კაცი იკრიბება მატარებლის მოსვლის დროს და ამიტომ ამ გვარ ალაგას სტანციის გაკეთება ეკადრება და არც რკინის გზის მმართველობა დარჩება წაგებული. თუ ეს ყოველივე ასე მოხდა, მაშინ იანეთში გაიმართება ისეთივე აღებ-მიცემობა და ვაჭრობა, როგორც ეს არის რკინის გზის ახლო მდებარე სხვა სოფლებში და იანეთის მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდება.

ი. იანეთელი

---

დროს აქ ისვენებდნენ ამ ეკლესიის მამანი.

ეკლესია მთლად დახატულია შესანიშნავის ხელოვნურის მხატვრობით. უმეტესი ნაწილი მხატვრობისა დავარაყებულია ოქროს ფერად. მხატვრობის ხელოვნებას განცვიფრებაში მოჰყავს კაცი. ასეთი მშვენიერი მხატვრობა მე არსად მინახავს. ტფილისის სიონის მხატვრობის შედარება ამასთან არ შეიძლება. ეს ძვირფასი განძი ჩვენის წარსულისა, ძვირფასი საკუთრება ჩვენის მამა-პაპის ხელოვნურის მხატვრობისა დღესაც-კი ცხადად მოწმობს და ნათლად ამტკიცებს ქართველთა ჩინებულს დ დიდებულს წარსულს. მაგრამ რა ჰქნას ქართველმა ერმა დ მისმა უბედო მდგომარეობამ, რომ ყველა მისი გამადიდებელი ძეგლი ოსმალთა მეოხებით ფერფლად იქცა! სხალტის შესანიშნავი მხატვრობა მთლად დაძველებულა და დახავსებულა. რაც დრო და ჟამთა ბრუნვას დაუკლია, ის ოსმალებს შეუსრულებიათ. მაღლა, მეტად ხელოვნურად დახატულს მაცხოვარს თვალები აქვს დახვრეტილი ტყვიით. ასევე აქვს ყველა შესანიშნავს დიდრონ ნახატებს. გაფუჭებულია მთელი საკურთხევლის ზედა მხრის მხატვრობა. მაგრამ რაც არის დარჩენილი ხელოვნურად ნახატი არშიები და სურათები თავიანთის წარწერებით, ესეც ძვირფასი ნაშთია. ზეითა პირის ყოველს ნახატს შერჩენია თავისი სახელი ხუცურის ასოებით. მთელი ზეითა ნაწილი ეკკლესიისა სავსეა ხუცურის ასო-მთავრულის ასოებით. ალაგ-ალაგ მკაფიოდ, ნათლად სჩანს როგორც ნახატი, ისე ხუცური ასოები. ნამეტურ წამხდარია ეკკლესიის ძირის კედლების ნახატები.

ერთხელ, როგორც ამბობენ, 1830 წ., როცა ხოჯა „ელაუ ექბერის“ ლოცულობდა, ეკკლესიის ჭერიდამ ერთი ქვა ჩამოვარდნილა, ხოჯას თავში დასცემია და თავი გაუხეთქია. ქვის ალაგი გამოუგლესიათ და ზოგიერთ ხოჯებს უთქვამთ, რომ მაჰმადი არა ყაბულობს, რომ მანდ ჯამე არის და ჯამეში კიდევ სხვა-და-სხვა სურათები მოიპოვებაო. მაშინათვე დაუცალიერებიათ ეკკლესია, შეუტანიათ ფიჩხი და მიუციათ ცეცხლი. ძირის კედლების ნახატობა გაფუჭებულა, ხოლო ზევითა კედლების სურათებს ალი ვერ ასწვდენია და კედლები ბოლისაგან-კი შებურულა. გადაწვის შემდეგ ჯამე განუახლებიათ. ერთის წლის შემდეგ კიდევ ჩამოვარდნილა ერთი ქვა და ხოჯას დასცემია თავში ლოცვის დროს. ამ შემთხვევის შემდეგ-კი აქ ჯამე მოუშლიათ და ეკკლესის დაქცევაც სდომიათ, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო საქმე შეჩერებულა.

ეკკლესიის იატაკიდან და ჭერიდგან აუყრიათ თლილი ქვა და ამ ქვებით ეკკლესიის გალავანში, ეკკლესიის აღმოსავლის კარის წინ გვარიანი ჯამე გაუკეთებეიათ; ეკკლესია-კი პირუტყვისათვის თავ-შესაფარად გადუქცევიათ! მაგრამ აქაც ერთი შემთხვევა მომხდარა: ერთ მეცხვარეს ერთ დღეს ცხვარი მთლად გაუწყდა ეკკლესიაში და თვით მეცხვარეც ავად გახდა. ამის მეოხებით ის ახალი ჯამეც მოუშლეს იქ და სხვაგან გადიტანეს. ეკკლესიის შესახებ წყევლა დასდეს: დღეის შემდეგ ამ ეკკლესიას არავინ მიეკაროსო. ზოგი ამბობდა, შიგ შეითანია და ზოგი ანგელოზიო. ეკკლესიას ხალხი დიდხანს არ ეკარებოდა თურმე. დღეს-კი თითოოროლა კაცი შედის. ადრე ამ ეკკლესიის ქვებს სოფლის ხალხი იპარავდა, მაგრამ ვინც რამე წაიღო, იმან თავის ოჯახში სიკეთე ვერ ჰნახა და ბოლოს ის ქვებიც უკანვე მიიტანა. ამ ეკკლესიისას აი რა ძველებურ ამბავს ლაპარაკობენ: „ჩვენ ქრისტიანები ვყოფილვართ, მაშინ ჩვენ გვყოლია ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ-მეფე ერქვა. ეს მეფე ამ ხეობაში ხშირად სცხოვრობდა, რადგანაც ეს ადგილები ძრიელ უყვარდა. ერთხელ როცა აქ მობრძანდა, ერთი დიდი მსხლის ხე ნახა, სწორედ იმ ალაგას, სადაც დღეს ეკკლესია სდგას. ის მსხლის ხე ისეთი დიდი და ტოტ-გაშლილი იყო, რომ მთელს იმ ხეობას ჰფარავდა. ერთ ღამეს თამარ-დედოფალმა ისურვა იმ ხის ქვეშ ღამის გათევა და გაათია კიდეც. სიზმარში ის ხე ნახა და მისი სიძლიერე. მეორე დღეს თამარ მეფემ იმ მსხალის ალაგს ეკკლესიის აშენება ბრძანა. მაშინვე დაიწყეს იმ დიდი მსხლის მოჭრა და ვერ მოსჭრეს; მეშვიდე დღეს როგორც იქმნა გადააწვინეს. მეორე დღეს რომ მივიდნენ, ნახეს, რომ მოჭრილი ხე ისევ გამთელებულიყო. შეწუხდნენ ძრიელ. დაუწყეს ხელახლავ ჭრა და, როგორც იქმნა, მოსჭრეს. დაღალული მუშები საღამოზე შინ წავიდნენ. მეორე დღეს მოვიდნენ და ხე კიდევ ხელახლავ გამთელებული დახვდათ.

დიდად დაღონდნენ ამაზე. ეს ამბავი თამარ მეფეს აცნობეს. დედოფალმა ილოცა და უბრძანა მუშებს: დღეს რომ ხე მოსჭრათ, ცულები შიგ ჩაურჭეთ და ამაღამ ისე დასტოვეთ; ხვალ მიხვალთ და იქვე დაგვხვდებათო. მუშები ასე მოიქცნენ, ცულები შიგ დასტოვეს, მერე დღეს ხე ველარ გამთელებულიყო. მაშინათვე ეკკლესიის კეთება დაიწყეს და ის ხე აღმოსავლეთის კარებში მოაყოლეს. დღეს რომ ბოძებია დარჩენილი ეკკლესიის კარებში, ეს ბოძები სწორედ იმ ხის ბოძებიაო. ეს ეკკლესია დაუხატავს იმ ოსტატს, ვისაც სტამბოლის ჯამე დაუხატავსო.“

ზ. ჭ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საფრანგეთის გაზეთები ძლიერა ჰკიცხავენ მთავრობის გარდაწყვეტილებას, კასანიაკი სამართალში იქნას მიცემულიო. Lanterne სწერს: რა უცნაურმა სურვილმა შეიპყრო მთავრობა, რომელმაც ათის დღის ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა, კასანიაკის უცნაური ამბავი სასამართლოში გარჩევის შემწეობით საქვეყნოდ გამოემჟღავნებინა. Lanterne-ს წერილს სათაურად აწერია „შეცდომა“. Libr Parol-ში ამავე საგნის შესახებ დაბეჭდილია წერილი, სათაურით „სისულელე“. ეს სათაური უფრო შესაფერია, რადგანაც საფრანგეთის გაზეთები ყველანი ერთხმად ამბობენ, კასანიაკის საქმის გარჩევა სასამართლოში მართლა რომ დიდი სისულელეაო. გაზეთი Fraus ამბობს, ამ საქმის გარჩევა სრულიად უადგილოა, მეტადრე ევროპის აწინდელ მდგომარეობაშიო.

**

Туркестанскія Вѣдомости სწერს: ინგლისის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, თუ ჩვენი საზღვარი ინდოეთის საზღვარს თანდათან დაუახლოვდა, ომი გამოუცხადოს რუსეთს. პროგრამმა ამ ნაირ მოქმედებისა ახალი არ არის, ის ეკუთვნის განსვენებულ მაკ-გრეგორსა. დაიბადა და შემუშავდა ინდოეთში და ეხლა თვალსაჩინოდ გარდაიქცა. მრავალი გარემოება, რომელსაც ჩვენ ამ ჟამად არ ჩამოვთვლით, გვარწმუნებს, რომ ზაგინდუკუშის შოვინიზმი მოუთმენლად დროს ირჩევს, რომ დაეცეს რუსეთს.

## რუსეთი

გაზეთ Новости-ის კორესპონდენტი იწერება სამარკანდიდგან, რომ იქ ბევრს აუკვეთია ხორცი და მხოლოდ მცენარეულობასა სჭამენ, თანხმად იმ მოძღვრებისა, რომელსაც „ვეგეტარიანიზმს“ უწოდებენ.

„ვეგეტარიანობა“ ცხოვრებაშიაც და ყოფა-ქცევაზედაც-კი ეტყობათო, ამბობს კორესპონდენტი. ვეგეტარიანების ოჯახში მე არსად შევხვედრივარ ბანქოს თამაშობას, რაც მეტად გახშირებულია განაპირა ქალაქებში. არც ღხინი და ლოთობა იციან, ყველაფერში თავდაჭერილობა და საჭმელში ზომიერება ეტყობათ. ბევრს მათგანს ველაპარაკე და დავრწმუნდი, ზოგს იმისთვის აუკვეთია ხორცი, რომ ეს ზნეობის წინააღმდეგიაო, და ზოგს კიდევ იმიტომ, რომ მცენარეულობას კუჭის ავადმყოფთათვის ურგია. ჰფიქრობენ, ვეგეტარიანების სასადილო დაარსონ, რადგანაც უცოლშვილო კაცისთვის ძნელია მცენარეულობის საჭმლის შოვნა.

რადგანაც ვეგეტარიანიზმს მრავალი მიმდევარი ჰყავს, დროა ვეგეტარიანთა ჟურნალი დაარსდეს“.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მაკ-მაჰონი ძლიერ ავად არის. Gaulois-ი ამბობს, რომ გუშინ მკურნალებს თათბირი ჰქონდათ ავადმყოფის შესახებ და გადასწყვიტეს, მორჩენის იმედი არ არისო.

ფერდინანდ ლესეპსიც მძიმედ არის ავად.

საფრანგეთის პალატის ერთ-ერთი პირველი კრება განიხილავს საქმეს საზოგადოდ დამნაშავეთა პატიების შესახებ, და სხვათა შორის გადასწყვეტავს, ნება მიეცეს თუ არა როშფორს საფრანგეთში დაბრუნებისა. ამბობენ, რომ კაბინეთი ამ საგანს თავს მოარიდებს და საქმეში არ გაერევაო.

—

ტულონი დიდს დღესასწაულებს აპირებს რუსეთის ესკადრის მისვლის დროს. ზოგნი ამბობენ, რომ გადააჭარბებს კიდეცაო. დღესასწაულების პროექტების შესრულება ყოვლად შეუძლებელიაო, დროც-კი ნებას არ მისცემსო. ახალ სამხედრო გემის ჩაშვება ზღვაში, გიერში გასეირნება, სადილი ქალაქის საბჭოს სასახლეში, ხალხის დღესასწაულები, საუცხოვო მეჯლისი—ყოველივე ეს ერთის საათის განმავლობაში ხომ ვერ მოხერხდება. ტულონელებს ის დარჩენიათ, რომ დიდი ხარჯი გაეწიათ, და ასეც მოიქცნენ. ქალაქის მოურავი ფერარი, ლიტერატორი, მოწადინებული იყო, ძვირფასი სტუმრები დიდხანს დარჩნენ ორთაშუა ზღვის ნაპირასო. ამ დღესასწაულს მრავალი ხალხი მოაწყდება და საბაჟო გარდაგვიხდის ჩვენს დანახარჯსაო. მაგრამ ძალიან დიდი ხარჯი მოსდიოდა ტულონს და არ იცოდა საიდგან აღედგინა. მარტო მორთულობა ქალაქისა 225,000 ფრანკს ითხოვდა და მთლად ხარჯი ნახევარ მილიონს აღემატებოდა. მთავრობა ჯერ თავის მხრივ არას აძლევდა ქალაქს, შინაგან საქმეთა მინისტრს უნდოდა ხარჯი შეემცირებინა, მაგრამ ფერარმა თავისი გაიყვანა და ქალაქის საბჭოს 550,000 ფრანკი დააკისრა. მარტო რუსულ ბაირაღების სასყიდლად საჭიროა 100,000 ფრანკი.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ავსტრიის გაზეთებში დაბეჭდილია წერილი კოშუტისა ერთს ქალთან, რომელმაც გაუგზავნა პირი მადიარ ქალთა-მიერ გონვედების ძეგლზედ დადებულ გვირგვინისა. კოშუტი ამ წერილით მედგრადა ჰკიცხავს მთავრობას იმის გამო, რომ არ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ძეგლის კურთხევაზედ, თუმცა პალატა ამას თხოულობდა. კოშუტის წერილის გამოცხადება ნავთს დაასხავს ცეცხლზედ და უფრო გაამწვავებს უნგართა მთავრობის კრიზისსა.

—

**ბოლგარია.** გაზეთ Frankfurter Zeitung-ში დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები სტამბულოვისა, რომელიც მას უთქვამს ერთის კაცისთვის იმ ხმების გამო, ვითომც თავადს ფერდინანდ კობურგელს და ბოლგარიის მინისტრს სტამბულოვს უთანხმოება მოსვლიათ. „მე სრულიადაც არ ვიციო,—უთქვამს სტამბულოვს,—ცუდს ამბობს ჩემზედ რასმეს თავადი, თუ არა. ეს-კი ევჳს გარეშეა: მე სასახლის მინისტრი არა ვარ და თავადის წყალობით მინისტრობას ერთს დღესაც არ ვიკისრებდი. იმ კრებაში, რომელიც მალე მოხდება, უნდა გამოაშკარავდეს, კიდევ მენდობა ხალხი, თუ აღარა. ხოლო ჩემს თანამდებობას თავს ვერ დავანებებ, რადგან მოვალეობად მიმაჩნია ამ თანამდებობის ასრულება იმ დრომდე, ვიდრე არ დასრულებულა სახელმწიფოს უმთავრესი საქმენი ჳ ვიდრე მხარს მაძლევს ნდობა ერისა.

მთელის წლის განმავლობაში რეგენტად ვიყავი და, მაშასადამე, ის ადგილი მეჭირა, რომელიც ეხლა თავადს უჭირავს; ამ გვარად ჩემთვის დიდი ამაღლება არ არის, რომ მინისტრად დამნიშნეს. ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, რომ იმ დღიდგანვე უარი მეთქვა საზოგადო მოღვაწეობაზედ, რა დღიდგანაც ერს მთავარი დავუყენე. მიუხედავად ყველა ამისა, მზადა ვარ სამსახურს თავი დავანებო, თუ დავრწმუნდი, რომ მთავარის ნდობა დავკარგე.

—

**ავსტრია.** ავსტრიის იმპერატორმა მოიწონა უნგართა მინისტრისაგან წარდგენილი პროექტი სამოქალაქო ქორწინებისა.

—

**იტალია.** იტალიის მეფე ჰუმბერტო სპეციას წავა ინგლისის ადმირალის სეიმურის და მის ესკადრის მისაგებებლად. სპეცია გენუეს ახლოს არის.

—

**გერმანია.** ბერლინის საბაჟო კონფერენციას გაუთავებია მოლაპარაკება ხელშეკრულობის შესახებ და ეხლა ტარიფების გასინჯვას შესდგომია. რუსეთის დელეგატების მშვიდობიანმა მოქმედებამ დაარწმუნა ყველანი, რომ რუსეთს გარკვეული ინსტრუქცია მიუცია თავის დელეგატებისათვის დადაუვალებია, შეძლებისამებრ დაუთმეთ, დაჰყევით ნებას, რომ მოლაპარაკებას მშვიდობიანი შედეგი ჰქონდესო.

—

**ჩერნოგორია.** რუსეთის ესკადრა, რომელიც ეხლა ტულონშია, ადრიატიკის ზღვაზედაც წავა. გაზეთები ამბობენ, რომ ესკადრა მხოლოდ ჩერნოგორიის ნავთ-სადგურში შეივლის და ავსტრიის ნაპირს სრულიად ასცდებაო.

## თეატრი

დღეს საზაფხულო თეატრში დანიშნულია ოპერა
„ტრავიატა“
ქართულ თეატრში დანიშნულია მუსიკალური დრამა
„მასხარები“
ხვალ ამავე თეატრში დანიშნულია დრამა
„დამარცხებულნი“

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

Temps-ს ატყობინებენ 25 სექტემბერს, რომ ქ-ნი ადანი ზეგ წავა ტულონს და ადმირალს მიართმევს ძვირფასს სამკაულს „საფრანგეთის ქალებისაგან.“

ქ-ნი ადანი მიართმევს აველანს:

1) 2,138 სამაჯურს porte-bonheur მედალიონით, რომელზედაც ამოჭრილია: „კრონშტადტ“ და „ტულონ.“ ეს ბრასლეტები რუსის მატროსების ცოლებისათვის არის გაკეთებული. ყოველი ბრასლეტი ცაღვე ცის ფერ ატლასისაგან გაკეთებულ ბუდეში ძევს, რომელზედაც ერთს კუთხეზედ თაიგულია დასატულია და შუაზედ აწერია: „სახსოვრად საფრანგეთის ქალთაგან. 1893“.

2) გულის ქინძისთავი ოფიცერთა ცოლებისათვის.

3) ჯვრები მღვდლებისათვის.

4) ბრილიანტის სამკაული ადმირალ აველანის სახლობისათვის და ორი გულის ქინძისთავი ბრილიანტებითა და ფირუზით შემკული ადმირალის ქალიშვილებისათვის.

**

ჟულიეტა ადანი პარიჟს დაბრუნდება 4 ოქტომბერს და საფრანგეთის ქალების მანიფესტაციის მეთაურობას მიიღებს.

მანიფესტაცია ამგვარი იქნება: 6 ოქტომბერს Croix-Rouge-ს მოედანზედ შეგროვდებიან თავმჯდომარენი სიკვდილისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა წევრნი Association des dames Française-ის საზოგადოებისა გვერდით ამოუდგებიან თავის დროშას,—ეს დროშა ეჭირება ბ-ნ Zacipida-ს, რომელსაც 52 მედალი აქვს მიღებული სიკვდილისაგან დახსნისათვის. იმის გვერდით იქმნებიან ბ-ნი ჰესენი, კავალერი საპატიო ლეგიონისა, რომელსაც 10 მედალი აქვს, და ბ-ნი რობენი, 8 მედალის მქონებელი. ამ დროშას, des Dames Française-სა და des Temmes de Française-ს სახელით, ქ-ნი ადანი, საპატიო წევრი ამ საზოგადოებათა მიართმევს ადმირალს აველანს. დროშის გვერდგვიწზედ ზედ-წარწერა იქმნება, სადაც დასახელებულ არიან საზოგადოებანი, რომელნიც მანიფესტაციაში იღებენ მონაწილეობას.

**

ვაშინგტონის ერთმა სავაჭრო ფირმამ გამოაცხადა, ჩვენა ვკისრულობთ, მსურველს ცოლი შევრთოთ, იმ პირობით-კი, რომ მზითევი საქმროს უეჭველად ჩვენ მაღაზიაში იყიდოსო. თავის მხრივ ფირმა კისრულობს ყოველ გვარ ზრუნვას ქორწილის გასამართავად, კარგის მღვდლის მოწვევას და სხვ. აქამდე ამ ფირმის შუამავლობით უკვე 10 ქორწინება მომხდარა.

**

ათის წლის წინად, როცა ბისმარკმა პირველად მიიწვია მკურნალი შვენინგერი, ბერლინში ძლიერ ბევრსა ლაპარაკობდნენ შემდეგ ამბავზედ: მკურნალმა შვენინგერმა ძლიერ მეუყაითად გასინჯა კანცლერი და შემდეგ გამოკითხვა დაუწყო. ბისმარკი ჯერ ძლიერ თავაზიანად უპასუხებდა თურმე, მაგრამ როცა შვენინგერმა სხვა-და-სხვა წვრილმან და უსიამოვნო კითხვებით თავი მოაბეზრა, ბისმარკმა სიტყვა ჩამოართვა და უთხრა: გთხოვთ ყველა მაგ სულელურ კითხვებით თავს ნუ მომაბეზრებთო. «მაშ, რა-კი ეგრეა, გირჩევთ ბეითალი მოიწვიოთ, რადგანაც პირუტყვთა ექიმი თავის პაციენტ-ავადმყოფთ არაფერს ჰკითხავს ხოლმეო.» ბისმარკს ეს პასუხი ისე ძლიერ მოეწონება, რომ მას შემდეგ დიდის ნდობითა და დიდის მოთმინებით ემყრობოდა თავის ახალს მკურნალსა.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ტფილისი

ოქტომბრის 2-ს საავადმყოფოში 4 ავადმყოფი იყო.

ოქტომბრის 3-ს მიხეილის საავადმყოფოში 3 ავადმყოფი მოიყვანეს.

ოქტომბრის 3-ს მორჩნენ და გამოვიდნენ საავადმყოფოდგან ორნი.

იმავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ხოლერით ერთი.

ოქტომბრის 4-ს მიხეილის საავადმყოში სულ 3 ავადმყოფი დარჩა.

## გამოსადეგი ცნობანი

—

მოვერცხლა სპილოს ძვლისა. სპილოს ძვალი შეიძლება შეივერცხლოს და ლამაზი შესახედულობა მიეცეს. სპილოს ძვლის ნივთი უნდა ჩასდოთ ვერცხლის აზოტ-მჟავეში (азотно кислаго серебра—ляписа). მუქ-მოყვითლო ფერს რომ მიიღებს, ამოიღეთ, წმინდა წყალში ჩასდეთ და მზეზედ დასდგით. სამის საათის შემდეგ ძვალი სულ გაშავდება. მაშინ უნდა კარგად ტყავით გაიწმინდოს, ვიდრე ელვარებას, ვერცხლსავით ბრჭყვინვას არ დაიწყებს.

—

სპილოს ძვლის გათეთრება. გაყვითლებულ სპილოს ძვალს რომ წინანდელი სითეთრე მიეცეს, უნდა ტერპენტინი წაუსვათ და სამ-ოთხ დღეს მზეზედ დასდოთ.

მეორე საშუალებაც არის ძვლის გასათეთრებლად. უნდა სპილოს ძვალი ცოტა ხანს ხელახლად ჩასდოთ დადუღებულს წყალბადში (перекись водорода) და შემდეგ კარგად გამშრალდეს. სიყვითლე სრულიად დაეკარგება და წინანდებულად გათეთრდება.

## სასამართლოს მატიანე

—

ვოლოგდის გუბერნიაში ერთი ქალი გაასამართლეს, 21 წლისა, რომელსაც შვილის კვლა ბრალდებოდა.

ეს ქალი ქმრიანი იყო და ორი შვილი ჰყავდა. ქმარი, მუშა-კაცი, ლოთობდა თურმე და ცოლისათვის არა ერთხელ უცემია. ქალი შესჩიოდა მეზობლებს და ამასაც ამბობდა, აღარ შემიძლიან ატანა, დედასთან წავალო. 26 იანვარს 1893 წელს ცოლქმარს ჩხუბი მოსვლიათ იმის გამო, რომ ცოლს ოთახი არ გაეთბო და ქმრისათვის ვახშამი არ მოემზადებინა. ქმარმა ძალზედა სცემა. მეორე დღეს ქმარი რომ სამუშაოდ წავიდა, ცოლმა სახლში ცეცხლი დაანთო. რომ დანაკვერჩხლდა, ცეცხლში ბალახი ჩააგდო და ღუმელს სახურავი დახურა. საშინელი ნახშირისა და ბალახის სუნი დატრიალდა. შეიყვანა ორთავ შვილი, ერთი სამის წლისა და მეორე შვიდის თვისა, დააძინა და თვითონ კარში გამოვიდა. წავიდა ბაზარში, ქმრის წაღები გაჰყიდა, თავისთვის უბრალო ფეხსაცმელი იყიდა, შემდეგ პოლიციაში მივიდა და ყოველივე გამოაცხადა.

განსამართლების დროსაც თვისი დანაშაული აღიარა და სთქვა, ქმართან ცხოვრება აღარ შემეძლო და კატორგაში რომ გამგზავნოთ, ის მირჩევნიაო; შვილები იმისთვის დავხოცე, რომ ძალიან მიყვარდა, მათი შენახვა-კი არ შემეძლო და არც ქმარი დამითმობდაო.

ნაფიც მსაჯულთ ბრალდებული ქალი გაამართლეს.

## დეპეშა

(2 ოქტომბერი)

**კოპენჰაგენი.** გუშინ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ფავგუსტოეს შვილებით, დანიის პრინცის ვოლდემარით და ვალიის პრინცესებით დაესწრო საიმპერატორო გემის „შტანდარდტის“ კეთებას. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ამალით გადაბრძანდა ბაირაღებით მორთულ საფრანგეთის გემზედ. იმპერატორი მიესალმა გემის უფროსსა და აფიცრებს და სთქვა, გემი ძლიერ მომწონსო. როცა იმპერატორი საფრანგეთის გემიდგან გადმობრძანდა, საფრანგეთის გემების პატივსაცემლად 30 ზარბაზანი დასცალეს. ნაშუადღევის 4 საათზედ ხელმწიფე იმპერატორის სახლობა რკი-

ნის გზით ისევ ფრედენსბორგს დაბრუნდა.

**ტულონი.** კონტრ-ადმირალმა, აველანმა გადაუხადა რა დარბაზობა საფრანგეთის ესკადრის უფროსებს, მივიდა სასახლე „Hôtel de Uille“-ში. სენატორები, დეპუტატნი, ტულონისა და პარიჟის საბჭოს წევრნი და სხვა ქალაქების წარმომადგენელნი და ხალხი ადმირალს დიდის ალტაცებით დაუხვდნენ. აველანი ორჯერ გამოვიდა სახლის აივანზედ. რუსეთის ესკადრის პატივსაცემლად საფრანგეთის გზათა მინისტრმა გამართა სადილი. მინისტრმა დალია სადღეგრძელო რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცისა, რუსეთის ფლოტისა, ჯარისა, მათის ისტორიულის წარსულისა და ძმობისა. ადმირალმა აველანმა დალია სადღეგრძელო პრეზიდენტისა და ზღვათა მინისტრისა. საღამოთი რუსეთის ესკადრის აფიცრები თეატრში იყვნენ.

3 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** დღეს დაიწყო კრება ნავთის მწარმოებელთა. კრებამ გადასწყვიტა, ძლიერ ძნელია სააქციონერო საზოგადოების დაარსება საზღვარ გარედთან ნავთით ვაჭრობისა. განზრახვა აქვთ, ნავთის გაყიდვა ჩააბარონ საზღვარ გარეთის ფირმებს და მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ შეიმუშავონ წესდება სააქციონერო საზოგადოებისა.

დღეს დაიწყო კრება თამბაქოს მწარმოებელთა. აღმოჩნდა, რომ აწინდელი სისტემა თამბაქოს აქციზისა საზარალოა, როგორც თამბაქოს მწარმოებელთა და მექარხნეებისთვის, აგრედვე ხაზინისთვისაც. გამოცხადდა განკარგულება ფინანსთა მინისტრისა, რომლის ძალითაც გამოცემულ უნდა, იქნას ქაღალდის ფული 50 მილ. მანათისა.

«Правит. Вѣст». იუწყება, რომ ეხლანდელს სისტემას შიმშილობაში საშველ საქმისას უნდა ჩაჰმატებოდეს წესდება მოსავლის დაზღვევისაო. ეს საქმე გარდაეცა განსახილველად 49 გუბერნიის უფროსებს. გუბერნატორებისაგან მიღებულ პასუხიდგანა სჩანს, რომ მარტო უფასა და სარატოვის გუბერნატორებს მოსწონებიათ ეს პროექტი. ტამბოვისა, კურსკისა და ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორებს თუმცა ეს პროექტი მოსწონებიათ, მაგრამ უთქვამთ, მისი განხორციელება ჯერჯერობით ძლიერ ძნელიაო. დანარჩენ 42 გუბერნატორს სრულიად უარ-უყვიათ პროექტი მოსავლის დაზღვევისა.

**ბერლინი.** რუსეთსა და გერმანიას შორის მოლაპარაკება ძლიერ კარგად მიდის. საკონვენციო ტარიფის პირველად გადასინჯვას ამ კვირაში მოჰრჩებიან.

**ტულონი.** დილის 8 საათიდგან ადმირალმა აველანმა მიიღო დეპუტატები საზოგადოებათა, მათ შორის პარიჟისა, მარსელისა, ნიცცასი და აიაჩიოსი. აიაჩიოს ბერმა გადასცა ადმირალს 1000 ფრანკის „რუსალკის“ გემზედ დაღუპულ ზღვაოსანთა ოჯახობისთვის. დელეგატებმა ადმირალს საჩუქრები მიუტანეს. რუსეთის ესკადრის აფიცრები დღესასწაულებს დაესწრენ, სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან მოსულ გიმნასტთა მიერ გამართულს.

ტულონის ესკადრის უფროსმა ადმირალმა გუშინ სადილი გამართა აველანის და მის შტაბის პატივსაცემლად. საფრანგეთის ადმირალმა სადილზედ დალია სადღეგრძელო რუსეთის იმპერატრიცისა და სთქვა: სულით და გულით ვისურვებ რუსეთის წარმატებასა და დიდებასაო. ფრანგებიო, სთქვა ადმირალმა, ამხობენ გრძობათა თვისთა ფერხთა წინაშე მის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატრიცას წინაშე, რომელიც არს სათავე ყოველგვარ მოწყალებისა და სათნოებისა; პატივსა სცემს ქალს დანიის ტახტისას, რომელიც მუდამ თანამგრძნობი იყო საფრანგეთისა. ადმირალმა აველანმა მადლობა გადუხადა და დალია სადღეგრძელო პრეზიდენტისა. შემდეგ ადმირალმა დე-ბოასუდიმ დალია სადღეგრძელო ადმირალ აველანისა და რუსეთის ესკადრისა, ილაპარაკა რუსეთის ზღვაოსანთა გმირობაზედ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს და დალია სადღეგრძელო რუსეთის ფლოტისა და ჯარისა. პასუხად აველანმა წარმოსთქვა სადღეგრძელო საფრანგეთის ფლოტისა და ჯარისა. ნავთსადგურზედ საღამოთი დიდი დღესასწაული გაიმართა; საფრანგეთის სამხედრო გემები გაჩირაღდნებული იყო. ადმირალი აველანი და აფიცრები დაესწრნენ საფრანგეთის ფლოტის აფიცართა მიერ გამართულს მეჯლისს.

4 ოქტომბერი

**ვენა.** დღეს აქ დიდის ამბით ჩაჰყარეს საძირკველი რუსის ეკკლესიისა, დიდის მთავარის ლობანოვ-როსტოვსკის და რუსეთის საელჩოს წევრთა თანადასწრებით.

**ტულონი.** მეჯლისი დილის 6 საათზედ გათავდა. დღეს, დილის 11 საათზედ, ადმირალის აველანისა და მის აფიცერთა პატივსაცემლად გაიმართა საერო ბანკეტი 800 კაცისთვის. საუზმეზედ რუსული საჭმელები მიიტანეს. პირველად ქალაქის მოურავმა დალია სადღეგრძელო მამა მეფისა, დედოფლისა და მთელის რუსეთისა. ადმირალმა აველანმა წარმოსთქვა სადღეგრძელო რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საფრანგეთის ერისა.

**პარიჟი.** პრეზიდენტმა კარნომ დეპეშით შეატყობინა ხელმწიფე იმპერატორს რუსეთის ესკადრის მისვლა ტულონში. მისმა უდიდებულესობამ წამსვე დეპეშითვე უპასუხა. გუშინ კარნომ კიდევ დეპეშა მისწერა ხელმწიფე იმპერატორს იმის გამო, რომ მისმა უდიდებულესობამ საფრანგეთის გემები დაათვალიერა კოპენჰაგენში.

პეტერბურგის ბირჟა, 30 სექტ.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,66 | 7,69 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 153 | 153¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%, პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი | — ,, | — ,, | 239½ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 217 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 192¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.
. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.
ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.
პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.
პარასკეობით: საფოსტო და სახალ-
სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.
ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,
ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ფფ ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.
სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.
საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

—


# განცხადებანი

ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.
გორში არსენ კალანდაძესთან.
ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში ბ. კალანდაძესთან.
განჯაში დ. ქვლივიძესთან.

## ქრისტინე

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—108)

## მამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).
ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.
დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.
ი. ф პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.
ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.
ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.
ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.
ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## ქალთა ტუალეტისათვის



БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ
Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.

იხმარება პირის-სახისა, კანისა და ხელის დასაბანად.
ამ ბალზამის მომზადების დროს ყურადღება იმასა ჰქონდა მიქცეული, რომ კანის მავნებელი წამალი არ შერეოდა.
ფასი ფლაკონისა 1 მ. 65 კ.
ბენზოევის საპნის თითო ნაჭერი 35 და 50 კ., ოპო-პომადა (კოლდ-კრემსა სჯობია) 1 მან.
შეხვევა და გაგზავნა რუსეთს 70 კ., აზიაში 1 მ.
უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის В. Аурихъ, въ С.-Петербургѣ, Колокольная, 18—19.

იშოვება ყველა სააფთიაქო და პარფიუმერიის მაღაზიებში და ზოგ აფთიაქებშიაც რუსეთში.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალო საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.

## სასაპარელო ესსენცია კოლბერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

